სასწავლო კურსი

სწავლა და სწავლება ზოგად საექიმო პრაქტიკაში

პროგრამის მიზანი და ამოცანები

პროგრამის მიზანია:

ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის სამედიცინო განათლების სფეროში სწავლისა და სწავლების თავისებურებების გაცნობა და მათი სწავლების ჩვევების გაუმჯობესება.

პროგრამის ამოცანები:

კურსის გავლის საფუძველზე მსმენელი გაღრმავდება მსმენელის ცოდნა შემდეგი საკითხების თაობაზე:

1. მოზრდილთა სწავლების თეორიული საფუძვლები
2. ზოგად საექიმო პრაქტიკაში შრომითი რესურსების მომზადება-გადამზადების თავისებურებები
3. მოზრდილთა სწავლებისათვის ეფექტური სასწავლო მეთოდოლოგია და თითოეულის დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები
4. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების კონცეფცია და მისი მნიშვნელობა;
5. სასწავლო კურსის ორგანიზების თავისებურებები;
6. სასწავლო პროგრამის ეფექტურობის შეფასების მეთოდები
7. სასწავლო პრაქტიკაში ტრენერებს, ტრენერსა და რეზიდენტს, რეზიდენტებსა და პრაქტიკის დანარჩენ თანამშრომლებს შორის ურთიერთობის (კომუნიკაციის) თავისებურები;

მსმენელი განივითარებს შემდეგ უნარ-ჩვევებს:

1. სასწავლო მასალების მომზადება, პრეზენტაცია, ჯგუფური მეცადინეობის ჩატარება და ა.შ;
2. პრაქტიკული ჩვევების სწავლება და დაკვირვება შესრულებაზე
3. სასწავლო პროგრამისათვის გეგმის (კურიკულუმის) შემუშავება
4. შეფასების ინსტრუმენტების მომზადება

მოსალოდნელი შედეგები:

1. მსმენელების ცოდნა განათლების ფილოსოფიისა და მოზრდილთა სწავლების კონცეფციის თაობაზე გაღრმავდება;
2. გაუმჯობესდება მსმენელთა სწავლების ჩვევები;

NEMTC

3. შეიცვლება მსმენელთა დამოკიდებულება მოზრდილთა სწავლების განსაკუთრებულად პრობლემური ასპექტების მიმართ;
4. მსმენელებს ჩამოუყალიბდებათ ნათელი წარმოდგენა ზოგად საექიმო პრაქტიკაში შრომითი რესურსების მომზადების თავისებურებებისა და სწავლების პროცესში აღმოცენებული მოულოდნელი სირთულეების მართვის გზების შესახებ.

მოდული 1 - მოზრდილთა სწავლების მოდელები

(პირველი სასწავლო დღე)

სასწავლო ამოცანები:

1. მოზრდილთა სწავლების თეორიული საფუძვლების გაცნობა;
2. მოზრდილი მოსწავლეების დამახასიათებელი ნიშნების ჩამოყალიბება;
3. „პედაგოგიკასა“ და „ანდრაგოგიას“ შორის განსხვავების გაცნობიერება;
4. სწავლისა და სწავლების სხვადასხვა სტილის განხილვა და მსმენელების მიერ სწავლის საკუთარი სტილის შეფასება;
5. განათლების ფილოსოფიის მნიშვნელობის გაცნობიერება მასწავლებლების პრაქტიკულ საქმიანობაში.

მოსალოდნელი შედეგები

მოდულის გავლის საფუძველზე:

1. გაღრმავდება მსმენელების ცოდნა განათლების ფილოსოფიისა და მოზრდილთა სწავლების თეორიული საფუძვლების თაობაზე;
2. მსმენელები შეძლებენ შეაფასონ საკუთარი და, მომავალში, მოსწავლეების სწავლის სტილი და შესაბამისად დაგეგმონ სასწავლო აქტივობები;
3. მსმენელებს სწორი მიდგომა ჩამოუყალიბდებათ “მოზრდილი” მოსწავლეების მიმართ და ეცდებიან მათთან სათანადო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

თემის განხილვას დაეთმობა დღის პირველი ნახევარი (4სთ).

NEMTC

სასწავლო გეგმა

დრო	განსახილველი საკითხი	სასწავლო მეთოდოლოგია	ტრენერი
30 წთ	მოზრდილთა სწავლების კონცეფცია და თეორიული საფუძვლები	ლექცია	
30 წთ	მოზრდილი მოსწავლეების დამახასიათებელი ნიშნების ჩამოყალიბება რა განსხვავებაა პედაგოგიკასა და ანდროგოგიას შორის	მცირე ჯგუფური მუშაობა	
60 წთ	სწავლისა და სწავლების სხვადასხვა სტილის განხილვა	მცირე ჯგუფური მუშაობა	
60 წთ	მსმენელების მიერ სწავლის საკუთარი სტილის შეფასება სწავლის სტილის შესაფასებელი კითხვარი	მცირე ჯგუფური მუშაობა	
60 წთ	განათლების ფილოსოფიის მნიშვნელობის გაცნობიერება მასწავლებლების პრაქტი¬კულ საქმიანობაში. მოზრდილთა სწავლების კონცეფციის საფუძველზე პრაქტიკული რეკომენ¬დაციების ჩამოყალიბება, რაც მომავალ¬მა მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს	დისკუსია მცირე ჯგუფებში	

მოდული 2 - სწავლება ზოგად საექიმო პრაქტიკაში

(პირველი სასწავლო დღე)

სასწავლო ამოცანები:

1. ზოგად საექიმო პრაქტიკაში სწავლებისა და სწავლის პროცესის სპეციფიკის მიმოხილვა;

NFMTC

2. ზოგადი საექიმო პრაქტიკის გარემოში სწავლებისა და სწავლის დადებითი და უარყოფითი მხარეების დემონსტრირება;
3. საოჯახო მედიცინის ცენტრების როლის განხილვა პირველადი ჯანდაცვის ახალი მოდელისთვის ადამიანური რესურსის გადამზადების პროცესში;
4. მსმენელებისთვის ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთან-მასწავლებლების ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების გაცნობა.

მოსალოდნელი შედეგები

საკითხის გავლის საფუძველზე მსმენელი შეძლებს:

1. ჩამოაყალიბოს ზოგად საექიმო პრაქტიკაში სწავლებისა და სწავლის პროცესის თავისებურებები;
2. გააცნობიეროს საკუთარი, როგორც ოჯახის ექიმის ან ექთან მასწავლებლის როლი საოჯახო მედიცინის პრაქტიკის განვითარების და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში;
3. ჩამოაყალიბოს გზები, რაც მას საშუალებას მისცემს შექმნას საუკეთესო სასწავლო გარემო საკუთარ პრაქტიკაში.

თემის განხილვას დაეთმობა დღის მეორე ნახევარი (4 სთ)

სასწავლო მეთოდოლოგია:

ლექცია თემაზე:

ზოგად საექიმო პრაქტიკაში სწავლებისა და სწავლის თავისებურებები

დისკუსია მცირე ჯგუფში შემდეგი საკვანძო საკითხების გარშემო:

1. ზოგად საექიმო პრაქტიკაში სწავლისა და სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები (გამოავლინეთ მსმენელების მოსაზრებები და ხედვა ამ საკითხთან მიმართებაში);
2. ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები (გააცანით მსმენელებს დებულებები ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთან-მასწავლებლების თაობაზე. სთხოვეთ მათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები: რა წარმოდგენა აქვთ საკუთარ, როგორც მასწავლებლის პროფესიულ როლზე);
3. სასწავლო პროცესის ზეგავლენა სამედიცინო ორგანიზაციაში კლინიკური პრაქტიკის წარმოებაზე:

   როგორ აისახება სასწავლო პროცესი პრაქტიკის ყოველდღიურ საქმიანობაზე;

   სამედიცინო მომსახურების მიწოდების ხარისხზე;

   თავად პრაქტიკის პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესზე?

NEMTC

4. საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრი, როგორც საუკეთესო გარემო საოჯახო მედიცინის მოდელისთვის ადამიანური რესურსის გადამზადების პროცესში - როგორია საერთაშორისო გამოცდილება, საქართველოს გამოცდილება, მომავლის პერსპექტივა (საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრების ეროვნული ქსელი, ცენტრებს შორის ეფექტური თამანშრომლობის გზები და ა.შ);
5. როგორ შევქმნათ ეფექტური სასწავლო გარემო საკუთარ პრაქტიკაში?

სასწავლო გეგმა

დრო	განსახილველი საკითხი	სასწავლო მეთოდოლოგია	ტრენერი
30 წთ	ადამიანური რესურსის მომზადება საოჯახო მედიცინის მოდელისთვის: საოჯახო მედიცინის ცენტრი - საუკეთესო გარემო ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადებისათვის	ლექცია	
30 წთ	ზოგად საექიმო პრაქტიკაში სწავლებისა და სწავლის პროცესის სპეციფიკის მიმოხილვა;	მცირე ჯგუფური მუშაობა	
30 წთ	ზოგადი საექიმო პრაქტიკის გარემოში სწავლებისა და სწავლის დადებითი და უარყოფითი მხარეების დემონსტრირება		
30 წთ	ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები	მცირე ჯგუფური მუშაობა	
60 წთ	სასწავლო პროცესის ზეგავლენა სამედიცინო ორგანიზაციაში კლინიკური პრაქტიკის წარმოებაზე: როგორ აისახება სასწავლო პროცესი პრაქტიკის ყოველდღიურ საქმიანობაზე; სამედიცინო მომსახურების მიწოდების ხარისხზე; თავად პრაქტიკის პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესზე?	დისკუსია მცირე ჯგუფებში	
60 წთ	როგორ შევქმნათ ეფექტური სასწავლო გარემო საკუთარ პრაქტიკაში	დისკუსია მცირე ჯგუფებში	

NFMTC

მოდული 3 - სასწავლო მეთოდოლოგია

(მეორე სასწავლო დღე)

სასწავლო ამოცანები:

1. ჯანდაცვის პროფესიონალების მომზადების პროცესში რეკომენდებული სასწავლო მეთოდოლოგიის განხილვა
2. პრაქტიკული და კლინიკური სწავლების მნიშვნელობისა და შესაფერისი სასწავლო მეთოდების განხილვა
3. მულტი ან ინტერდისციპლინარული სწავლების პროცესების თავისებურებათა განხილვა
4. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების **თავისებურებების განხილვა**

მოსალოდნელი შედეგები

საკითხის განხილვის საფუძველზე მსმენელი შეძლებს:

- სათანადოდ შეაფასოს თითოეული სასწავლო მეთოდის მნიშვნელობა და უზრუნველყოს მათი ეფექტიანი გამოყენება
- გააცნობიეროს საოჯახო მედიცინის სასწავლო პროგრამებში პრობლემაზე ორიენტირებული მეთოდის მნიშვნელობა და ხელი შეუწყოს მის დანერგვას
- განსაზღვროს საუკეთესო შესაძლებლობები მულტიდისციპლინარული სწავლებისთვის;
- გამოიყენოს მულტიდისციპლინარული სწავლების ის მეთოდი, რომელიც ყველაზე უკეთ მიესადაგება თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭირეობებს;
- ხელი შეუწყოს მულტიდისციპლინარული სწავლების დანერგვას შესაფერის შემთხვევებში.

სასწავლო გეგმა - თემის განხილვას დაეთმობა დღის პირველი ნახევარი (4სთ).

დრო	განსახილველი საკითხი	სასწავლო მეთოდოლოგია	ტრენერი
30 წთ	ჯანდაცვის პროფესიონალების მომზადების პროცესში რეკომენდებული სასწავლო მეთოდოლოგიის განხილვა	ლექცია	
30 წთ	ცოდნის ათვისებისათვის რეკომენდებული სასწავლო მეთოდების განხილვა: (ლექცია, მცირე ჯგუფებში მუშაობა)	მცირე ჯგუფური მუშაობა	
60 წთ	ცოდნის ათვისებისათვის რეკომენდებული სასწავლო მეთოდები	მცირე ჯგუფური	

NFMTC

		მუშაობა	
60 წთ	პრაქტიკული და კლინიკური სწავლების მნიშვნელობისა და შესაფერისი სასწავლო მეთოდების განხილვა	მცირე ჯგუფური მუშაობა	
60 წთ	პრაქტიკული და კლინიკური სწავლების მნიშვნელობისა და შესაფერისი სასწავლო მეთოდების განხილვა	დისკუსია მცირე ჯგუფებში	

სასწავლო გეგმა - თემის განხილვას დაეთმობა დღის მეორე ნახევარი (4სთ).

დრო	განსახილველი საკითხი	სასწავლო მეთოდოლოგია	ტრენერი
60 წთ	პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების თავისებურებების განხილვა	მცირე ჯგუფური მუშაობა	
60 წთ	პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების თავისებურებების განხილვა (გაგრძელება)	მცირე ჯგუფური მუშაობა	
60 წთ	მულტი ან ინტერდისციპლინარული სწავლების პროცესების თავისებურებათა განხილვა	მცირე ჯგუფური მუშაობა	
60 წთ	როგორ შევარჩიოთ ყველაზე ეფექტური სასწავლო მეთოდი, რომელიც კურსის ამოცანების წარმატებული განხორციელების საშუალებას მოგვცემს	დისკუსია მცირე ჯგუფებში	

NFMTC

მოდული 4 - კურსის დაგეგმვა

(მესამე სასწავლო დღე)

მიზანი:

კურსის დიზაინსა და დაგეგმვასთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტორების მიმოხილვა

მოსალოდნელი შედეგები

მოდულის გავლის საფუძველზე მსმენელი შეძლებს:

1. აღწეროს კურსის დიზაინისა და დაგეგმვის პროცესი;

2. გამოსავლების გათვალისწინებით დაგეგმოს კურსი ან ნებისმიერი სასწავლო ღონისძიება;
3. ჩამოაყალიბოს კურსის მიზანი და ამოცანები მარტივ და გასაგებ ენაზე, რაც პოტენციურ მსმენელს გაუიოლებს მათ გაცნობიერებას;
4. აღწეროს რამდენად აუცილებელია და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ცვლილებებს წინასწარ დადგენილ კურიკულუმებში;
5. ჩამოაყალიბოს კურიკულუმში ცვლილებების შეტანის ეფექტური გზები;
6. თავად შეიმუშაოს ან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს კურიკულუმის შექმნის პროცესში

სასწავლო გეგმა - თემის განხილვას დაეთმობა დღის პირველი ნახევარი (4სთ).

დრო	განსახილველი საკითხი	სასწავლო მეთოდოლოგია	ტრენერი
60წთ	კურიკულუმის შემუშავების პროცესი-ზოგადი მიმოხილვა	ლექცია	
60წთ	კურიკულუმის შემუშავება სტრატეგიები და მოდელები: - კურიკულუმის შემუშავების გზები - ამოცანების განსაზღვრა - სასწავლო გეგმა - სასწავლო პროცესი	მცირე ჯგუფური მუშაობა	
60წთ	კურიკულუმის ელემენტები: მიზანი, ამოცანები, სასწავლო მეთოდებ, შეფასების მეთოდები, სასწავლო რესურსი	მცირე ჯგუფური მუშაობა, მაგალითების განხილვა	
60წთ	კურიკულუმის ელემენტები: მიზანი, ამოცანები, სასწავლო მეთოდებ, შეფასების მეთოდები, სასწავლო რესურსი	საშინაო დავალება: ოჯახი ექიმების/ზპ ექთნების უწყვეტი პროფესიული განვითარების კურსისითვის კურიკულუმის შემუშავება	

სასწავლო გეგმა - თემის განხილვას დაეთმობა დღის მეორე ნახევარი (4სთ).

დრო	განსახილველი საკითხი	სასწავლო მეთოდოლოგია	ტრენერი
60წთ	მსმენელების მიერ მომზადებული კურიკულუმების განხილვა	პრაქტიკული მუშაობა მცირე ჯგუფებში	
60წთ	მსმენელების მიერ მომზადებული კურიკულუმების განხილვა	პრაქტიკული მუშაობა	
60წთ	კურიკულუმის დანერგვა, დანერგვაზე მონიტორინგისა და შეფასების გზები	პრაქტიკული მუშაობა	

NFMTC

60წთ	შეჯამება: ოჯახის ექიმთა და ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების სასწავლო პროგრამის მოკლე მიმოხილვა, კურიკულუმის დეტალები, ცვლილებების საჭიროებისა და მოსწავლეზე ორიენტირებულობის მნიშვნელობა.	მცირე ჯგუფური მუშაობა	

მოდული 5 - სასწავლო მასალის მომზადება და აღჭურვილობის გამოყენება

(მეოთხე სასწავლო დღე)

სასწავლო ამოცანები:

1. სასწავლო მასალების ტიპების გაცნობა;
2. ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება, რაც საფუძვლად უდევს სასწავლო მასალის შერჩევისა და გამოყენების პროცესს;
3. მსმენელებისთვის ამა თუ იმ სასწავლო მეთოდოლოგიის შესაფერისად სასწავლო მასალის მომზადების ტექნიკის სწავლება;
4. სასწავლო აღჭურვილობის გაცნობა;
5. სასწავლო მასალისა და აღჭურვილობის გამოყენების ჩვევების განვითარება;

მოსალოდნელი შედეგები

მოდულის გავლის საფუძველზე მსმენელი შეძლებს:

1. სასწავლო მეთოდოლოგიის ფარგლებში სწორად შეარჩიოს სასწავლო მასალა, რომელსაც კონკრეტული სასწავლო ამოცანის მისაღწევად გამოიყენებს;
2. მოამზადოს და გამოიყენოს სხვადასხვა სახის სასწავლო მასალა და აღჭურვილობა, კერძოდ მსმენელი გაიუმჯობესებს
   - *PowerPoint presentation მომზადებისა და“ფაილ-პროექტორის გამოყენების ჩვევას*
   - *დაფასთან მუშაობის ჩვევას*
   - *ფლიპ-ჩარტის გამოყენების ჩვევას*

სასწავლო გეგმა

დრო	განსახილველი საკითხი	სასწავლო მეთოდოლოგია	ტრენერი
60წთ	სასწავლო მასალების ტიპები და სასწავლო აღჭურვილობა-ზოგადი მიმოხილვა;	ლექცია	

NFMTC

	ძირითადი პრინციპები, რაც საფუძ¬ვლად უდევს სასწავლო მასალის შერჩევისა და გამოყენების პროცესს		
60წთ	სასწავლო მასალის შერჩევა ამა თუ იმ სასწავლო მეთოდოლოგიის შესაბამისად და მათი მომზადების ტექნიკა: ➢ ლექციისთვის და მცირე ჯგუფური მუშაობისათვის ოპტიმალური სასწავლო მასალა;	მცირე ჯგუფური მუშაობა	
90წთ	სასწავლო მასალის შერჩევა ამა თუ იმ სასწავლო მეთოდოლოგიის შესაბამისად და მათი მომზადების ტექნიკა: ➢ ლექციისთვის და მცირე ჯგუფური მუშაობისათვის ოპტიმალური სასწავლო მასალა;	პრაქტიკული მუშაობა მცირე ჯგუფებში: მსმენელები მუშაობენ სასწავლო მასალების ნიმუშებზე და წარმოადგენენ მათ	
60წთ	სასწავლო მასალის შერჩევა ამა თუ იმ სასწავლო მეთოდოლოგიის შესაბამისად და მათი მომზადების ტექნიკა: ლექციისთვის და მცირე ჯგუფური მუშაობისათვის ოპტიმალური სასწავლო მასალა.	დისკუსია მცირე ჯგუფებში	
60წთ	სასწავლო აღჭურვილობის გაცნობა და მათი გამოყენების ჩვევების დემონსტრირება	პრაქტიკული მუშაობა მცირე ჯგუფებში	
90წთ	სასწავლო აღჭურვილობის გამოყენების ჩვევების განვითარება: პროექტორის გამოყენება პრეზენტაციის პროცესში	პრაქტიკული მუშაობა, მსმენელები ამზადებენ პრეზენტაციას და წარმოადგენენ მას სათანადო სათანადო აღჭურვილობის საშუალებით.	
60წთ	შეჯამება: როგორ შევარჩიოთ სასწავლო მასალა, რომელსაც ამა თუ იმ სასწავლო მეთოდის შესაფერისად გამოვიყენებთ	ჯგუფური მუშაობა მასწავლებელი ცდილობს გამოავლინოს, რამდენად გააცნობიერეს მსმენელებმა სასწავლო მასალებისა და აღჭურვილობის შესაფერისად გამოყენების მნიშვნელობა	

NFMTC

მოდული 6 - შეფასება

(მეხუთე სასწავლო დღე)

სწავლების ამოცანები:

- ჯანდაცვის პროფესიონალების სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების ძირითადი მეთოდებისა და მათთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პრინციპების განხილვა;
- სხვადასხვა ტიპის შეფასებისა (Assesment and Aprisal), და უკუგების (Feedback) მნიშვნელობის გაცნობიერება კლინიკურ კონტექსტში
- შეფასების ჩვევების ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება

მოსალოდნელი შედეგები:

მოდულის გავლის საფუძველზე მსმენელი შეძლებს:

- ჩამოთვალოს და აღწეროს შეფასების ის ძირითადი მეთოდები, რომელთა გამოყენება ღირებულია კლინიკურ კონტექსტში;
- ჩამოაყალიბოს საკუთარი გაგება შეფასების მეთოდების, სასწავლო მეთოდებისა და მათი გამოყენების ფონზე მოსალოდნელი სასწავლო შედეგების ურთიერთკავშირის შესახებ;
- გამოავლინოს შეფასების პროცესის მნიშვნელობის სათანადო გაგება.

განსახილველი საკითხები:

1. შეფასება-განმარტება და მიზანი
2. რის შეფასებას ვაპირებთ
3. შეფასების პრინციპები
4. შეფასების ტიპები და მეთოდები

დავალება მსმენელებისთვის:

სთხოვეთ მსმენელებს შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავება, მაგ:

- ტესტ-კითხვარის რამოდენიმე ნიმუში (როგორც მარტივი, ასევე რთული ტიპის);
- ნიშნული შეკითხვების რამოდენიმე ნიმუში
- მოდიფიცირებადი ესე შეკითხვა
- ჩაატარეთ ზეპირი გამოცდის ინსცენირება

მიეცით მსმენელებს საშუალება, ჯგუფში გამოსცადონ მათ მიერ შემუშავებული ინსტრუმენტები.

უზრუნველყავით სათანადო უკუგება.

NFMTC

სასწავლო გეგმა

დრო	განსახილველი საკითხი	სასწავლო მეთოდოლოგია	ტრენერი
60წთ	ჯანდაცვის პროფესიონალების სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების ძირითადი მეთოდებისა და მათთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პრინციპების განხილვა	ლექცია	
60წთ	შეფასების ტიპები და შეფასების მეთოდოლოგიის ზოგადი დახასიათება	მცირე ჯგუფური მუშაობა	
60წთ	ცოდნის შეფასების ინსტრუმენტები/მაგალითების განხილვა	მცირე ჯგუფური მუშაობა,	
60წთ	ჩვევების შეფასების ინსტრუმენტები/მაგალითების განხილვა	მცირე ჯგუფური მუშაობა,	
60წთ	მიდგომის შეფასება/მაგალითების განხილვა	მცირე ჯგუფური მუშაობა,	
60წთ	მსმენელების მიერ მომზადებული მაგალითების განხილვა, თითოეული ნიმუშის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა	პრაქტიკული მუშაობა მცირე ჯგუფებში	
60წთ	გრძელდება მუშაობა მსმენელების მიერ მომზადებულ ნიმუშებზე	პრაქტიკული მუშაობა	
30წთ	ზეპირი გამოცდის წარმოების ჩვევების განვითარება	პრაქტიკული მუშაობა მცირე ჯგუფებში	
30წთ	შეჯამება: პროფესიული კომპეტენციის სფეროების შეფასების ინსტრუმენტები	პრაქტიკული მუშაობა მცირე ჯგუფებში	

NFMTC

მოდული 7 - სასწავლო პროცესის სპეციფიკური პრობლემები

(მეექვსე სასწავლო დღე)

სასწავლო ამოცანები:

1. სასწავლო პროცესის სპეციფიკური პრობლემების იდენტიფიცირება და მსმენელებისთვის მათი გაცნობა;
2. სასწავლო პროცესში აღმოცენებული სპეციფიკური პრობლემების მართვის გზების განხილვა;
3. მსმენელებისთვის სასწავლო პროცესში აღმოცენებული სპეციფიკური პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის ჩვევების განვითარება.

მოსალოდნელი შედეგები

საკითხის გავლის საფუძველზე მსმენელი შეძლებს:

1. გამოავლინოს და შესაფერისად მართოს სასწავლო პროცესში აღმოცენებული სპეციფიკური პრობლემები;
2. შეიმუშაოს მოქმედების ინდივიდუალური გეგმა, რაც მას პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესში საშუალებას მისცეს თავიდან აიცილოს „მასწავლებელთან დაკავშირებული“ პრობლემების გამოწვევა, ხოლო უზრუნველყოს დროული და შესაფერისი რეაგირება „მოსწავლესთან დაკავშირებულ პრობლემებზე”.

სასწავლო გეგმა - თემის განხილვას დაეთმობა დღის პირველი ნახევარი (4სთ).

დრო	განსახილველი საკითხი	სასწავლო მეთოდოლოგია	ტრენერი
60წთ	მოზრდილთა სწავლების პროცესში აღმოცენებული სპეციფიკური პრობლემები: „არამოტივირებილი მოსწავლე“	მცირე ჯგუფური მუშაობა, მაგალითების განხილვა, როლური თამაში	
60წთ	მოზრდილთა სწავლების პროცესში აღმოცენებული სპეციფიკური პრობლემები: „ძალიან დაკავებული მასწავ-ლებელი“	მცირე ჯგუფური მუშაობა, მაგალითების განხილვა, როლური თამაში	
60წთ	სხვა შესაძლო პრობლემები „ფრუსტრაცია“, „კომუნიკაციის სირთულეები“ და ა.შ.	მცირე ჯგუფური მუშაობა, მაგალითების განხილვა, როლური თამაში	
60წთ	საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრების გამოცდილება: სპეციფიკური პრობლემები, რასაც ყველაზე ხშირად ვხვდებთ ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნების გადამზადების სასწავლო პროგრამების ფარგლებში.	მცირე ჯგუფური მუშაობა	

მოდული 8 - შეფასება

(მეექვსე სასწავლო დღე)

სასწავლო კურსის ბოლოს ჩატარდება მსმენელთა მომზადების დონის შეფასება, რომელიც მოიცავს ასევე, მსმენელთა შეფასების უნარებსაც.

ფასდება:

NFMTC

1. მსმენელის ცოდნა მოზრდილთა სწავლების ფილოსოფიისა და პრინციპების თაობაზე
2. სწავლების ჩვევები;
   - პრეზენტაციის ჩატარება
   - სასწავლო მასალის მომზადების ჩვევები
   - სასწავლო აღჭურვილობის გამოყენების ჩვევები

I. თითოეული მსმენელი ამზადებს და წარმოადგენს პრეზენტაციას მისთვის საინტერესო თემაზე, რასაც არჩევს მასწავლებელთან შეთანხმებით. პრეზენტაციისთვის განკუთვნილი დრო 20 წთ.

II. მსმენელთა ცოდნის შეფასება მოხდება წერითი სტრუქტურირებული ტესტის საშუალებით (დანართი 1).

სასწავლო გეგმა - თემის განხილვას დაეთმობა დღის მეორე ნახევარი (4სთ).

დრო	განსახილველი საკითხი	სასწავლო მეთოდოლოგია	ტრენერი
120წთ	მსმენელთა შეფასება • პრეზენტაციის ჩატარება • სასწავლო მასალის მომზადების ჩვევები • სასწავლო აღჭურვილობის გამოყენების ჩვევები (დანართი #2)	მსმენელი ამზადებს და წარმოადგენს პრეზენტაციას მისთვის საინტერესო თემაზე, რასაც არჩევს მასწავლებელთან შეთანხმებით. პრეზენტაციისთვის განკუთვნილი დრო 20 წთ.	
60წთ	მსმენელთა შეფასება თითოეული მსმენელი აფასებს კოლეგის პრეზენტაციის უნარებს - რამდენად პასუხობს თემას, ფლობს აუდიტორიას, საუბრობს გამართულად და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას, იყენებს განსხვავებულ წყაროებს, იყენებს თვალსაჩინოებას, იცავს დროის ლიმიტს, არავერბალური კომუნიკაცია, და სხვ.) ასევე, სასწავლო თემიდან გამომდინარე, თუ რამდენად სწორად და სიზუსტით აყალიბებს	ინდივიდუალური/ ჯგუფური შეფასება	

NFMTC

	მიზნებს, ამოცანებს, მოსალოდნელ შედეგებს და მიზნების/ამოცანების მისაღწევად გამოყენებულ ინსტრუმენტებს/ტექნიკას		
60 წთ	მსმენელთა შეფასება (გაგრძელება) თითოეული მსმენელი არგუმენტირებულად წარმოადგენს კოლეგებისაგან განსხვავებული შეფასების შედეგებს, რითაც, ასევე, ფასდება მათივე შეფასების უნარები, უფრო კონკრეტულად, აკეთებს დასკვნას, გამოხატავს საკუთარ აზრს და ამყარებს არგუმენტებით, აკეთებს დასკვნას და სხვ.	ინდივიდუალური/ ჯგუფური შეფასება	

NEMTC

დანართი 1

შეკითხვები სტრუქტურირებული წერითი შეფასებისთვის

1. აღწერეთ როგორ შეაფასებთ მსმენელის საქმიანობას (მოსწრებას) საოჯახო მედიცინაში გადამზადების სასწავლო კურსის მიმდინარეობის პროცესში და მის დასასრულს?
2. როგორ გესმით ცნება „თვით-სწავლა“? როგორ შეგიძლიათ დაეხმაროთ სტუდენტს შეითვისოს სწავლის ეს სტილი?
3. აღწერეთ მცირე ჯგუფში სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები.
4. თქვენი სტუდენტი არასათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება სასწავლო პროცესს. ამის გამო, შიშობთ, რომ იგი ვერ შეიძენს შესაფერის ჩვევებს, აზროვნების სათანადო უნარს და არ ექნება ის ცოდნა და კომპეტენცია, რაც აუცილებელია ოჯახის ექიმის მოვალეობის შესასრულებლად.

   აღწერეთ რას გააკეთებთ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

დანართი #2

„სწავლა და სწავლება ზოგადსაექიმო პრაქტიკაში“

პრეზენტაციის უნარ-ჩვევების შეფასების ფორმა

მსმენელის სახელი და გვარი.....

კრიტერიუმი	**შეფასება 5 ქულიანი სისტემით (0 ძალიან ცუდი 5 ძალიან კარგი)**	**კომენტარი**

1. პრეზენტაციის მანერა		
2. მეტყველების მანერა და ტემპი (აქცენტები ძირითად მესიჯებზე)		
3. თავდაჯერებულობა		
4. კონტაქტი აუდიტორიასთან		
5. სლაიდების ხარისხი (ფონტის ზომა, ძირითადი მესიჯები, ტექსტით დატვირთვა და ა.შ.)		

NFMTC